6. დავათა გადაჭრის წესი

6.1. დავები და უთანხმოებანი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების შესრულებისას, გადაწყდება მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ვაჭრობის მოსაწყობის შესახებ შესაბამისი ნებართვის მიღების დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

7.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება სხვა ვადით, თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადისა და სხვა ურთიერთ ხელსაყრელი ცვლილების შესახებ.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, არ იწვევს ამ ხელშეკრულების სხვა მუხლების ბათილად ცნობას.

8.2 მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ვადამდე;

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ურთიერთ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და იგი ძალაშია ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

9. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

მეიჯარე:

შპს „TRANS PARKING"
ს/კ №19001004626
თბილისი, ცაბაძის ქ№8

დირექტორი გიორგი ქობელაშვილი

მოიჯარე:

შპს„მმ X ინტერნაციონალი"
ს/კ№412679908

მინდობილი პირი
მალხაზ სინაურიძე
(პ/ნ№01017012

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

მიწის ფართის ქირავნობის შესახებ

ქ.თბილისი 10 აგვისტო 2012 წელი

ჩვენ, შპს „TRANS PARKING" –ს დირექტორი გიორგი ქობელაშვილი შემდგომში „მეიჯარედ" წოდებული, ერთის მხრივ და შპს„მმ X ინტერნაციონალი"-ს (ს/კ№412679908) წარმომადგენელი მალხაზ სინაურიძე (პ/ნ№01017012277) შემდგომში „მოიჯარედ" წოდებულმა, მეორეს მხრივ, დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მეიჯარე" გადასცემს „მოიჯარეს" დროებით სარგებლობაში 850 კვმ მიწის ნაკვეთს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით საცალო-საბითუმო სადღერამისო ვაჭრობის ორგანიზებისათვის, მდებარე მისამართზე: თბილისი, ცაბაძის ქ№8-ში.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „მეიჯარე" ვალდებულია:

2.1.1 გადასცეს „მოიჯარეს" მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით საცალო-საბითუმო სადღერამისო ვაჭრობის ორგანიზების მოსაწყობად;

2.1.2 არ შეუშალოს ხელი „მოიჯარეს" იჯარით გადაცემული სავაჭრო ობიექტით სარგებლობაში;

2.2. „მოიჯარე" ვალდებულია:

2.2.1. აღნიშნული საქმიანობის შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ გამოიყენოს მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის საცალო-საბითუმო სადღერამისო სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად;

2.2.2 თავისი ხარჯებით მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით საცალო-საბითუმო სადღერამისო სავაჭრო ობიექტი ნებართვით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად (მისი არსებობის შემთხვევაში);

2.2.3 ტერიტორიაზე დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

2.2.4 თავისი ხარჯებით დაასუფთაოს იჯარით გაცემული ტერიტორია.

2.2.5 გადაიხადოს საიჯარო და კომუნალური გადასახადები „მოიჯარის" მიერ წარდგენილი ანგარიშის შესაბამისად;

2.2.6 არ შეუშალოს ხელი ავტოპარკინგს საქმიანობაში;

3. ანგარიშსწორება

3.1. იჯარით გადაცემული ფართის გადასახადი (კომუნალური გადასახადების გარეშე) ყოველთვიურად შეადგენს 12100 (თორმეტიათასასი) აშშ დოლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 „მოიჯარის" მიერ საიჯარო ქირის გადახდა წარმოებს წინასწარ ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველი საანგარიშო თვის 01 რიცხვში და არაუგვიანეს საანგარიშო თვის 05 (ხუთი) რიცხვისა გადახდის დღისათვის არსებული კურსით სს„პრივატბანკი"-ს ანგარიშსწორების ანგარიში №GE27TP0036020020004553;

3.3 „მოიჯარის" მიერ 3.1 და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „მოიჯარეს" დაეკისრება ჯარიმა გადასახდელი თანხის 0,5% -ს ოდენობით ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 „მეიჯარეს" უფლება აქვს ვადამდე ადრე ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, თუ „მოიჯარე" არ ასრულებს შემდეგ პირობებს:

- არამიზნობრივად იყენებს იჯარით აღებულ ფართს;
- ხელს უშლის ავტოპარკინგს მუშაობაში;
- არ იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო და კომუნალურ გადასახადებს ხელშეკრულებით (3.2ბ) დადგენილ ვადებში;
- იჯარით აღებულ ტერიტორიას არ ასუფთავებს და ქმნის ანტისანიტარულ მდგომარეობას.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთ ვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას;